საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ყაზახეთი

ლექტორი : ავთანდილ კიკნაძე
სტუდენტი : ალექსანდრე სამადაშვილი

გერბი

ყაზახეთი

- ყაზახეთის რესპუბლიკა ტრანსკონტინენტური ქვეყანა ცენტრალურ აზიაში, რომლის მცირე ნაწილიც ურალის დასავლეთით ხვდება აღმოსავლეთ ევროპაში. ყაზახეთი არის მსოფლიოში სიდიდით მეცხრე ქვეყანა, ხოლო ხმელეთით გარშემორტყმულ ქვეყნებს შორის უდიდესი, მისი ფართობი შეადგენს 2.717.000 კვადრატულ კილომეტრს რაც აღემატება დასავლეთი ევროპის ფართობს. მას ესაზღვრება: რუსეთი, ჩინეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი და კასპიის ზღვა. ყაზახეთის ტერიტორია მოიცავს: ვრცელ ველებს, ტაიგას, კანიონებს, გორებს, დელტებს, მუდმივი თოვლით დაფარულ მთებს და უდაბნოებს. 17 მილიონზე მეტი მაცხოვრებლით მისი საშუალო სიმჭიდროვე დაახლოებით 6 ადამიანს შეადგენს კვ. კილომეტრზე. დედაქალაქი ალმათიდან ასტანაში 1997 წელს გადავიდა.

გეოგრაფია

ქვეყანა ცენტრალურ აზიაში, ესაზღვრება რუსეთს, ჩინეთს, ყირგიზეთს, უზბეკეთს და თურქმენეთს. დასავლეთით მას კასპიის ზღვა აკრავს. ფართობი შეადგენს 2.717.000 კვ.კმ-ს. ამ მაჩვენებლით მას მე-9 ადგილი უკავია მსოფლიოს ქვეყნებს შორის. მისი ტერიტორია გადაჭიმულის კასპიის ზღვიდან ალტაის მთებამდე. მთავარი მდინარეებია ილი, ირტიში და იშიმი, ტბები - არალის, ბალხაშის და ზაისანის.

სახელმწიფო

- **სახელმწიფო სისტემა** – განვითარებადი დემოკრატია, საპრეზიდენტო რესპუბლიკა.
- **სახელმწიფოს მეთაური** – პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი (1990 წლიდან).
- **საკანონმდებლო ორგანო** – ორპალატიანი პარლამენტი, შედგება სენატისა (47 წევრი) და მაჟილისისაგან (67 წევრი).

დემოგრაფია

- **მოსახლეობა** - ყაზახეთის მოსახლეობა შეადგენს 16,967,000 (2013) ადამიანს, ხოლო მათი ეთნიკური კუთვნილება 2009 წლის მიხედვით შემდეგია: 63.1% ყაზახი, 23.6% რუსი, 2.9% უზბეკი, 2.8% უკრაინელი, 1.5% გერმანელი, 1.4% უიგური, 1.3% თათარი, 4.3% სხვა.
- **სახელმწიფო ენები** - ყაზახური და რუსული.
- **რელიგია** - ისლამი და ქრისტიანობა.
- **დედაქალაქი** - ასტანა (288 ათასი, 1997 წლის 1 დეკემბრიდან).
- **დიდი ქალაქები** - ალმათი, ასტანა, შიმკენტი, ყარაღანდა, ტარაზი, პავლოდარი, უსტ-კამენოგორსკი, სემეი, ურალსკი.

ეკონომიკა

- ყაზახეთი მდიდარია მინერალური რესურსებით - ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი, რკინის მადანი, მანგანუმი, ქრომი, ნიკელი, კობალტი, სპილენძი, მოლიბდენი,ტყვია, თუთია, ბოქსიტები, ოქრო, ურანი. ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი შეადგენს 10%-ს, მრეწველობის - 30%-ს, დანაჩენი მომსახურებაზე მოდის. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია - ნავთობი, ლითონები, ქიმიკატები, ხორბალი. უკანასკნელ წლებში შესამჩნევია პროგრესი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მიმართულებით. ეროვნული ვალუტა - ტენგე (KZT);

საქართველო ყაზახეთის ურთიერთობები

- დიპლომატიური ურთიერთობები საქართველისა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის დამყარდა 1992 წლის 24 ივლისს.
- **თანამშრომლობის სფეროები**
  1) მუდმივი პოლიტიკური დიალოგი ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში;
- 2) თანამშრომლობა საკანონმდებლო ორგანოებს შორის. შექმნილია საპარლამენტთაშორისო მეგობრობის ჯგუფები;
- 3)თანამშრმლობა ეკონომიკის სფეროში.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთის რესპუბლიკაში:

დავით მუმლაძე

(01.07.12 - დღემდე)

ყაზახეთის საგანგებო და სრულუ ფლებიანი ელჩი საქართველოში: ადილ ტურსუნოვი
(25.02.2012 - დღემდე)
დროებითი რწმუნებული;

თანამშრომლობა ეკონომიკის სფეროში

- ყაზახეთის რესპუბლიკა საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ნარმატებით ფუნქციონიერებს საქართველო-ყაზახეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისია.
- ყაზახეთთან ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საქართველო დაინტერესებულია ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობითა და ყაზახეთიდან ბუნებრივი აირის მიღებით.
- საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დივერსიფიკაცია. პრიორიტეტულია ყაზახეთის მხარესთან თანამშრომლობა TRACECA-ს სატრანსპორტო დერეფნის ნარმატებით ფუნქციონირების საკითხში. საქართველო დაინტერესებულია ყაზახეთის მონაწილეობით ბაქო-თბილისი-ყარსი ახალი სარკინიგზო პროექტის განხორციელებაში.
- აქტუალურია ასევე, ყაზახური ხორბლის მესამე ქვეყნებში (ეგვიპტეში) ექსპორტის მიზნით საქართველოს შავი ზღვის პორტების გამოყენება. კერძოდ კი, საქართველო დაინტერესებულია ფოთის პორტის გავლით ეგვიპტეში ტრანსპორტირების საკითხით. 2011 წლის ბოლოსათვის ქ. ფოთში განხორციელდა უკვე არსებული ხორბლის ტერმინალის რეკონსტრუქცია, რომლის ტევადობაც 50 ათასი ტონით განისაზღვრა. ამ დროისათვის კომპანია „Bunge-Agricom"-ის მიერ უკვე დასრულებულია ახალი ტერმინალის მშენებლობა, რომლის ტევადობა 250-300 ათასი ტონით განისაზღვრება. აღნიშნული ტერმინალი 2012 წლის პირველ ნახევარში შევა ექსპლუატაციაში.

ინვესტიციები

ყაზახი ინვესტორები სულ უფრო დიდ დაინტერესებას იჩენენ საქართველოს მიმართ. ყაზახური ინვესტიციები ჩაიდო ქ. თბილისის სატელეკომუნიკაციო და გაზგამანაწილებელ სისტემაში, ტურიზმის სფეროში აჭარის რეგიონში.

ყაზახეთის რესპუბლიკის მიერ საქართველოში განხორციელებილი ინვესტიციები

წლები	2006 წ.	2007 წ.	2008 წ.	2011 წ.	2012 წ. (3 თვე)
ყაზახეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციები	152,31	88,49	65,94	14,79	8,30
ზრდა წინა წელთან შედარებით	-	-41,9%	-25,5%	-	5,5%
წილი მთლიან ინვესტიციებში	12,8%	4,4%	4,2%	1,5%	3,1

სამართლებრივი ბაზა

- საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილია 70 ხელშეკრულება, მათ შორის:
  შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ;
  კონვენცია საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავალსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ;
  საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსულო კონვენცია;
  შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ;
  შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ;

გმადლობთ ყურადღებისთვის